

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	მუსიკის ტექნოლოგია Music Technology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში Bachelor of Arts in Music Technology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 200 ECTS კრედიტს, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს (ანუ 6 სემესტრს).
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვა ნელი	რეზო კიკნაძე, მოწვეული პროფესორი, მაია (მაკა) ვირსალაძე, ასოცირებული პროფესორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; აბიტურიენტთა პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნაა მუსიკალურ-სმენითი უნარების შეფასება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუსიკის კლასიკური სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტერდისციპლინურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს დარგის თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ესთეტიკის, ხმის ანალიზის, დამუშავების, სინთეზისა და კონტროლის მოქნილი სტრატეგიების ცოდნას. ასევე, მუსიკალური სისტემების გამოთვლითი მოდელირების, ცხოვრების მანძილზე მუსიკის შემეცნების, ტექნოლოგიასა და მუსიკალურ ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირების უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მუსიკალურ ინდუსტრიაში დასაქმებას და/ან სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, შემდეგი მიმართულებებით: ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია, მუსიკის წარმოება (Music Production),

	<p>მუსიკის ჩაწერა, აუდიო ინჟინერია, აუდიო დიზაინი, მულტიმედიური და თამაშის მუსიკალური დიზაინი, აპარატურის/პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი (Hardware/Software Design), ფილმისა და მედიის გახმოვანება, მუსიკის ბიზნესი და სხვ.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერს, განმარტავს და განასხვავებს მუსიკალური კულტურის ისტორიისა და მუსიკის ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებს, მუსიკალური აზროვნების ძირითად კონცეფციებს; • აღწერს და განსაზღვრავს მუსიკის ტექნოლოგიის, ექსპერიმენტული და ელექტროაკუსტიკური მუსიკის ესთეტიკას, ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს; • ფლობს მუსიკის თეორიის საფუძვლებს, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის პრინციპებს; • ფლობს ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ-სამემსრულებლო ასპექტებს; • აღწერს, ადარებს, განსაზღვრავს და განასხვავებს ვოკალური, ინსტრუმენტული და ელექტრონული სამუსიკო შემსრულებლობის პრაქტიკულ ასპექტებს; • განსაზღვრავს კომპოზიციის საფუძვლებს და ისტორიულად ჩამოყალიბებული საკომპოზიტორო სკოლების ტრადიციებს; • აღწერს, ადარებს და განასხვავებს მექანიკური და ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების სხვადასხვა სახეობას და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს; • ფლობს აკუსტიკის, მუსიკალური აკუსტიკის, ელექტროაკუსტიკის და სივრცის გახმოვანების საფუძვლებს, აცნობიერებს მათ როლს საკომპოზიტორო და სამემსრულებლო შემოქმედებაში; • აღწერს და მიმოიხილავს მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნის ისტორიას, კონსტრუქციას, დიაპაზონს, ტექნიკურ და მხატვრულ შესაძლებლობებს. <p>უნარები:</p> <ul style="list-style-type: none"> • განასხვავებს და შემოქმედებით პროცესში იყენებს სხვადასხვა სტილისა და ეპოქის მუსიკის ჟანრულ და ენობრივ თავისებურებებს, იაზრებს და განაზოგადებს მუსიკალურ-ისტორიულ პროცესებს; • იძიებს, განმარტავს და აანალიზებს სამუსიკო ხელოვნების დარგისათვის დამახასიათებელ ასპექტებს თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; • მუშაობს ელექტრონულ ტექნიკასთან, ქმნის და გარდაქმნის ჟღერად მასალას, იყენებს ჩაწერის ტექნიკის პრინციპებს; • უზრუნველყოფს სივრცის ტექნიკურ და მხატვრულ გახმოვანებას; • იყენებს ბგერათწარმოების მრავალფეროვან ხერხებსა და საკომპოზიციო ტექნოლოგიებს; • ქმნის ელექტროაკუსტიკურ და აკუსტიკურ კომპოზიციებს;

	<ul style="list-style-type: none"> ● ქმნის მუსიკალური ნაწარმოების აკუსტიკურ და ელექტრონულ არანჟირებას; ● ადგენს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროექტს; ● აანალიზებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და პოულობს მათი გადაჭრის გზებს; ● ახდენს შემოქმედებითი საქმიანობის დემონსტრირებას ფართო აუდიტორიის წინაშე; ● იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს. <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ● გეგმავს სწავლის სტრატეგიას, ადექვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი; ● იაზრებს შემოქმედებით და მხატვრულ ღირებულებებს და ზრუნავს მათ განვითარებაზე; ● იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ. ● იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ● უზრუნველყოფს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და განვითარებას, მიღებულ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაფუძნებით ახალი კომპეტენციების შექმნის გზით.
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> ● წიგნზე, სანოტო და აუდიო მასალაზე მუშაობის მეთოდი; ● დემონსტრირების მეთოდი; ● პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ● ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ● ინდივიდუალური სწავლების მეთოდი; ● ჯგუფური სწავლების მეთოდი; ● სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზის მეთოდი; ● როლური და სიტუაციური თამაშის მეთოდი; ● პრაქტიკული სწავლების მეთოდი; ● შემთხვევის ანალიზი; ● პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობის მეთოდი;

	<p>სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები; • სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად; • სწავლება პროფესიულ გარემოში - კონსერვატორიის მცირე და დიდი დარბაზები, ხმის ჩამწერი სტუდია (მაგ: LENO Records); TAFU TV, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ელექტრონული მუსიკის კლუბები (მაგ: ბასიანი). • პროფესიული მასტერკლასები;
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის შეფასება მოიცავს როგორც განმავითარებელ, ასევე შემაჯამებელ შეფასებებს, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია და შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ბ) (B) მალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>კურსდამთავრებულს თავისუფალი შემოქმედების გარდა (Freelancer) შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიულ-შემოქმედებით დაწესებულებებში, როგორცაა: ხმის ჩამწერი სტუდია, პოსტპროდუქციის სტუდია, ტელევიზია, რადიო, ელექტრონული მუსიკის კლუბი და სხვ.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის არტისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.</p>
<p>სწავლის საფასური</p>	<p>განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>
<p>პროგრამის</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით.</p>

<p>განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი, რომელთაც აქვთ მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.</p> <p>Yamaha-ს 5 (MSP 7) +2 (HS 8) +1 (HS 8S) მაღალი ხარისხის სტაციონარული დინამიკები. Yamaha-ს 6 (Stage Pass) მაღალი ხარისხის პორტატული დინამიკი (ნებისმიერი სასცენო სიტუაციისთვის). 8 მაღალი ხარისხის მიკროფონი (2 ცალი Neumann, 2 ცალი SHURE SM57, 2 ცალი SHURE SM58, 2 ცალი SHURE KSM42). Yamaha-ს 1 (TF-3) მაღალი ხარისხის სტუდიური მიქსერი (აუდიოინტერფეისადაც გამოყენებადი მრავალარხიანი სტუდიური და საკონცერტო პროდუქციის დროს). 5 სტაციონარული კომპიუტერი; პროგრამული უზრუნველყოფა: Pro Tools, Max/MSP/ დარბაზის სცენა და სალექციო სტუდია ერთმანეთთან დაკავშირებულია მრავალწვერიანი (Multicore) კაბელით აუდიოსაკომუნიკაციო ხარისხისა და კომფორტისთვის. სტუდიის ტექნიკის პრაქტიკული კურსისთვის საჭირო ხელსაწყოები და სახარჯი მასალა;</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>იხ. დანართი</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტი და შემდგომში, სტუდენტი ვალდებულია აცნობიერებდეს კონსერვატორიის ეთიკის კოდექსითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით განსაზღვრული პრონციპების მნიშვნელობასა და იცავდეს მათ განუხრელად.</p>